**ხელშეკრულება № 11-129/2**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ქ. თბილისი 07 11 2016 წ.

ერთი მხრივ, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის **ქეთევან ნატრიაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „თაიმსერვისი“** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **სულეიმან ჩიხლაძის** სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 4 ნოემბრის N3081 განკარგულების საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,საქონელი/მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1,7 „ხარვეზი“ - ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებულ ხარვეზად ჩაითვლება თუ:

- მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე 5 წუთის დაგვიანებით ან მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე 25 წუთით ადრე;
- მოსწავლეთა სკოლიდან წამოყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დასრულებიდან 25 წუთის დაგვიანებით.
- თუ სატრანსპორტო საშუალების ტევადობა ნაკლები იქნება გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობასთან.
- თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული წინასწარ დათქმული ადგილებიდან საჯარო სკოლამდე და სკოლიდან უკან მოსწავლეების გადაყვანა არ განხორციელედება ხელშეკრულების დანართში მითითებული კონკრეტული მიმართულების მიხედვით.

## 2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

მიმწოდებელმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 320211) დაფინანსების ფარგლებში უნდა უზრუნველყოს **საქართველოს საჯარო სკოლების (კახეთი, თბილისი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლის რეგიონები) მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება** (CPV60170000).

## 3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით სატრანსპორტო მომსახურება გულისხმობს წინასწარ დათქმული ადგილებიდან საჯარო სკოლამდე და სკოლიდან უკან მოსწავლეების გადაყვანის მომსახურების განხორციელებას წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებული მიმართულებისა და გრაფიკის მიხედვით (მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 წუთისა და არაუმეტეს 25 წუთისა. ხოლო სკოლიდან წამოყვანა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესისი დასრულებიდან - არაუგვიანეს 25 წუთისა).

3.2 მომსახურების გაწევის ადგილია **საქართველო, კახეთი, თბილისი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი რეგიონები.**

3.3 მომსახურების ვადა: **2016 წლის 7 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით** (სასწავლო დღეების სავარაუდო რაოდენობა - ჩვეულებრივ საჯარო სკოლებში - 19 დღე, პანსიონის ტიპის სკოლებში - 10 დღე (წაყვანა ან წამოყვანა), იმ სკოლებში, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შაბათ დღეს - 23 დღე).

3.4 მომსახურება გაწეული იქნება ტექნიკურად გამართული ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

3.5 სატრანსპორტო მომსახურების გაწევის პერიოდში მიმწოდებელსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაზღვევო კომპანია ----------------- (პოლისის N -------------) მიერ განხორციელებული იქნება მგზავრთა გადაყვანის პროცესში მოსწავლეების (მგზავრების) დაზღვევა ტენდერის პირობების მიხედვით, არანაკლებ 1500.00 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობის სადაზღვევო თანხის ლიმიტით (დანართი N3).

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს - **348 856,00 (სამასორმოცდარვა ათას რვაასორმოცდათექვსმეტი) ლარი.**

4.2 ერთეულის ფასები შესაბამისი საჯარო სკოლებისა და მიმართულებების მიხედვით გაწერილია დანართი N1-ში.

4.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (მათ შორის დღგ-ს).

## 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან და მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.4 წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით, რისთვისაც წარმოსადგენი იქნება იდენტური ოდენობის წინასწარი ანგარიშსწორების საავანსო საბანკო გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ.

5.5 ავანსად გაცემული თანხის დაქვითვა მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად,

5.6 დაფინანსების წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამა (პროგრამული კოდი: 320211).

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს სატრანსპორტო მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. მომსახურება უნდა განხორციელდეს ტექნიკურად გამართული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით. ტრანსპორტი (ავტობუსი, მიკრო ავტობუსი, მსუბუქი ავტომობილი) თითოეული პუნქტისათვის უნდა შეირჩეს გადასაყვან ბავშვთა რაოდენობისა და ადგილის რელიეფის შესაბამისად; დაცული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი უსაფრთხო გადაადგილების ყველა ნორმა.

6.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება ხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

6.4 იმ შემთხვევაში როდესაც კონკრეტული მიმართულება ვერ სრულდება თვის განმავლობაში 14 დღეზე მეტი ვადით, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება და ამოიღოს შესაბამისი მიმართულება ხელშეკრულებიდან.

6.5 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

6.6 შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

6.7 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ;

7.2მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძვლებია:

ა) მიმწოდებელსა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციას შორის გაფორმებული და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი (უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ) ტაბელი (დანართი N2 ტაბელის ფორმა), რომელიც ივსება ყოველდღიურად და შემსყიდველს წარედგინება მომსახურების დასრულებიდან გონივრულ ვადაში.
ბ) შესაბამისი რესურსცენტრის ანგარიშის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლებისა და განვითარების დეპარტამენტის დასკვნა.
7.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის და ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსებს (მათი არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილ პირებს).
7.4 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მიმწოდებლის მიერ ტაბელების წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრების საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები. ასევე, კონტროლი შესაძლებელია განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვის და განვითარების დეპარტამენტის უფლებამოსილმა თანამშრომლებმა.
8.2 კონტოლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი (საგანმანათლებლო რესურსცენტრის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი) ვალდებულია მომსახურების დასრულებისას, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე, საჯარო სკოლებთან შეამოწმოს (გადაამოწმოს) მიმწოდებლის მიერ განხორციელებული მომსახურება და წერილობითი ფორმით აცნობოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს შემოწმების შედეგების შესახებ.
8.3 თავის მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის შესაბამისი თანამშრომელი ვალდებულია შეადგინოს შესაბამისი დასკვნა (წერილობითი ფორმით), რომელშიც აღნიშნული იქნება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დეფექტები და ხარვეზები. აღნიშნული დასკვნა უნდა მომზადდეს და ეკონომიკურ დეპარტამენტს (მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ტაბელებთან ერთად) წარედგინოს მიმწოდებლის მიერ ტაბელების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა. თავის მხრივ, ეკონომიკურმა დეპარტამენტმა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება უნდა უზრუნველყოს წინამდებარე პუნქტში მითითებული დასკვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
8.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
8.5 მიმწოდებელი ვალდებულია შემდგომი მომსახურების პერიოდში უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
8.6 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

## 9. ინტერესთა კონფლიქტი

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში ,,მიმწოდებელთან".

## 10. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია

10.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველს უნდა წარმოუდგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
10.2 გარანტია უნდა იყოს „უპირობო", ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.
10.3 წინამდებარე მუხლის 10,1 პუნქტით დადგენილ ვადაში საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობა განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად და შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოიყენოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სანქცია.

10.4 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.
10.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების ან მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში.
10.6 მიმწოდებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსიალია გამოიყენოს საბანკო გარანტია სრული ოდენობით.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შემდეგი პრინციპით:

ა) თუ მომსახურების გაწევის პერიოდში თითოეულ მიმართულებაზე ხარვეზით განხორციელებული ან/და განუხორციელებელი მომსახურების რაოდენობა არ აღემატება 3 დღეს (ზედიზედ ან ჯამში), მიმწოდებელს დაკისრება პირგასამტეხლო ხარვეზით განხორციელებული და/ან განუხორციელებელი მომსახურების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

ბ) იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევის პერიოდში ხარვეზით განხორციელებული და/ან განუხორციელებელი მომსახურება თითოეულ მიმართულებაზე გადააჭარბებს 3 დღეს, მიმწოდებელს დაკისრება პირგასამტეხლო ხარვეზით განხორციელებული და/ან განუხორციელებელი მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით. ამ შემთხვევაში ამავე მუხლის 11.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში გათვალისწინებულ 3 დღეზეც გამოიყენება ამ ქვეპუნქტში მითითებული პირგასამტეხლოს მოცულობა.

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი ვეღარ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობას, აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოიყენოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.

დ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დროზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.

ე) ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის 0,01%.

ვ) წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10,1 პუნქტში მითითებულ ვადაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით.

11.2 პირგასამტეხლოს გადახდა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი მიერ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.
11.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
12.2 მხარეებმა, სადაო საკითხების შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და

დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

**14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

14.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების და-დგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღი-რებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

14.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

14.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.5 ხელშეკრელების შეწყვეტა შემსყიდველს არ ართმევს უფლებას გამოიყენოს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია. ასევე, შემსყიდველს არ ართმევს უფლებას დააკისროს მიმწოდეველს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

**15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

**16. სხვა პირობები**

16.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი - ,,შემსყიდველთან".

**მხარეთა რეკვიზიტები:**

**შემსყიდველი:**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
**მის.: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52**
**საიდენტიფიკაციო კოდი 202051224**
**სახელმწიფო ხაზინა**
**კოდი: TRESGE22;**
**ა/ა GE24NB0330100200165022**

**მინისტრის პირველი მოადგილე**
**ქეთევან ნატრიაშვილი**

______________________

**მიმწოდებელი:**

**შპს ,,თაიმსერვისი"**
**მის.: ქ. თბილისი, ნინო ჩხეიძის N46**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 204570357**
**ტელ.: 579 287757**
**ს/ს ,,თიბისი ბანკის"**
**კოდი: TBCBGE22**
**ანგ. N GE25TB3405136020100007**

**დირექტორი**
**სულეიმან ჩხლაძე**

______________________

*ხელშეკრულების პროექტი მოამზადა:*

შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი: /მ. ფალიაშვილი/ ____________________

*შეთანხმებულია:*

შესყიდვების სამმართველოს უფროსის მ.შ: /ნათია მჟავია/ ----------------------------------------

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:/დავით გოგუაძე/ ------------------------------------

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი: /ლაშა საღინაძე/ ---------------------------------------------------------

სამართლებრივი ექსპერტიზისა და სასამართლოებთან

ურთიერთობის სამმართველოს უფროსი: /გიორგი შეშაბერიძე/ ---------------------------------------------

დანართი

| № | რეგიონი | რაიონი | სკოლა | საიდენტიფიკაციო კოდი | დასახლების ტიპი | მარშრუტი | სწავლის დაწყების დრო | სწავლის დასრულების დრო | მოსწავლეების სავარაუდო რ-ბა | სავარაუდო მანძილი (კმ) | შენიშვნა | სავარაუდო დღეების რ-ბა | გზების რ-ბა | ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალების ტევადობის შესახებ | ერთეულის ფასი | საერთო ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისი | ისანი-სამგორი | N103 საჯარო სკოლა | 206031818 | ქალაქი | მესხეთის ქ.№72 - ვარკეთილის მე-4 მ/რ, მე-3 კვარტალი (N157 საჯარო სკოლა) | 13.15 | 16:30 | 130 | 12 | სკოლას ტრანსპორტით მომსახურება დასჭირდება სკოლის ახალი შენობის ექსპლუატაციაში შესვლამდე | 19 | 4 | 70 | 45 | 3,420.00 |
| | | | | | | | | 17:25 | 140 | | | 19 | 4 | 70 | 45 | 3,420.00 |
| | | | | | | | 14.05 | 18:15 | 105 | | | 19 | 4 | 70 | 45 | 3,420.00 |
| | | | | | | | | 19:10 | 125 | | | 19 | 4 | 70 | 45 | 3,420.00 |
| | | | | | | | | 19:55 | 100 | | | 19 | 4 | 70 | 45 | 3,420.00 |
| 2 | თბილისი | ისანი-სამგორი | N156 საჯარო სკოლა | 208142785 | ქალაქი | მეტალობაზის ჩასახვევი-ქიზიყის ქუჩა-კახეთის გზატკეცილი-ორხევის ხიდი-ჩანტლაძის ქუჩა (ყოფილი ახვლედიანის) N28 (N156 საჯარო სკოლა) | 9:00 | 14:05<br>14:55 | 20<br>30 | 6 | | 19 | 3 | 70 | 5 | 285.00 |
| 3 | თბილისი | ისანი-სამგორი | N176 საჯარო სკოლა | 206031907 | ქალაქი | ქინძმარეულის ქუჩა - ბ.ხმელნიცკის ქუჩა-გორგასლის ქუჩა - ვაზისუბნის დასახლება - ვარკეთილი 3, მე-3 მ/რ - ვარკეთილი 3, პირველი მ/რ - ვარკეთილის მე-4 მ/რ, მე-2 რიგი - ვარკეთილის ზემო პლატო - ვარკეთილის მე-4 მ/რ, მე-2 რიგი-N176 საჯარო სკოლა) | 9:00 | 11:30 | 10 | 25 | | 19 | 2 | 10 | 25 | 950.00 |
| 4 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | N6 საჯარო სკოლა | 200191050 | ქალაქი | პატარა მამკოდა - სოფელი გლდანი, გაზების დასახლება - N6 საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 30 | 3 | | 19 | 2 | 30 | 26 | 988.00 |
| 5 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | N69 საჯარო სკოლა | 209469341 | ქალაქი | გიორგიწმინდის დასახლება - N69 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 38 | 6 | | 19 | 2 | 38 | 22 | 836.00 |
| 6 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | N71 საჯარო სკოლა | 209469332 | ქალაქი | სოფელი გიორგი წმინდა - N71 საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 8 | 5 | | 19 | 2 | 8 | 18 | 684.00 |
| 7 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | N 115 საჯარო სკოლა | 209472630 | ქალაქი | სოფელი გიორგი წმინდა-N 115 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:05 | 6 | 5 | | 19 | 2 | 13 | 9 | 342.00 |
| 8 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | N132 საჯარო სკოლა | 209469305 | ქალაქი | გიორგიწმინდა -N132 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 10 | 5.5 | | 19 | 2 | 10 | 1 | 38.00 |
| 9 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | N175 საჯარო სკოლა | 200087191 | ქალაქი | მუხიანის ნაკვეთები, ვარდისუბნის ქუჩა - N175 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:35 | 25 | 3 | | 19 | 2 | 25 | 23 | 874.00 |
| | | | | | | მუხიანის ნაკვეთები, ქვანის ქუჩა - N175 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:35 | 20 | 3 | | 19 | 2 | 20 | 23 | 874.00 |
| | | | | | | მუხიანის ნაკვეთები, გურიის აღმართი - N175 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:35 | 10 | 5 | | 19 | 2 | 10 | 1 | 38.00 |
| 10 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | №181 საჯარო სკოლა | 209471374 | ქალაქი | მუხიანი 2 - ქვანის ქუჩა - N181 საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 25 | 2 | | 19 | 2 | 25 | 26 | 988.00 |
| | | | | | | მუხიანი 2 - ვარდისუბნის ქუჩა - N181 საჯარო სკოლა | | | 25 | 3 | | 19 | 2 | 25 | 26 | 988.00 |
| | | | | | | მუხიანი 2 (გურიის აღმართი) - გურიის ქუჩა - N181 საჯარო სკოლა | | | 30 | 5 | | 19 | 2 | 30 | 23 | 874.00 |
| 11 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | N191 საჯარო სკოლა | 209469092 | ქალაქი | გიორგიწმინდა-N191 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 5 | 6 | | 19 | 2 | 15 | 1 | 38.00 |
| 12 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | N208 საჯარო სკოლა | 236087845 | ქალაქი | სამხედრო დასახლება(პირველი უბანი)-დაბა ზაჰესი - N208 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 17 | 4 | | 19 | 2 | 17 | 22 | 836.00 |
| 13 | თბილისი | გლდანი-ნაძალადევი | N209 საჯარო სკოლა | 236087907 | ქალაქი | მამკოდის აგარაკები - N209 საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 5 | 3 | | 19 | 2 | 13 | 18 | 684.00 |
| | | | | | | პლასტმასის აგარაკები-გაზის დასახლება-N209 საჯარო სკოლა | | | 20 | 4 | | 19 | 2 | 20 | 5 | 190.00 |
| 14 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | N102 საჯარო სკოლა | 204873459 | ქალაქი | მსხალდიდი-მუხათწყარო-აგარაკი-N102 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 9 | 12 | | 19 | 2 | 9 | 26 | 988.00 |
| | | | | | | თხინვალა-ლისი-წოდორეთი-N102 საჯარო სკოლა | | | 12 | 8 | | 19 | 2 | 12 | 23 | 874.00 |
| 15 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | N122 საჯარო სკოლა | 204863255 | ქალაქი | ნაფეტვრები - N35 საჯარო სკოლა-N122 საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 6 | 10 | | 19 | 2 | 6 | 23 | 874.00 |
| 16 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | N128 საჯარო სკოლა | 204859750 | ქალაქი | მუხათწყარო - N128 საჯარო სკოლა | 9:00 | 13:15 | 3 | 12 | | 19 | 2 | 7 | 1 | 38.00 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | თბილისი | ვაკე-საბურთალო | N210 საჯარო სკოლა | 236059260 | ქალაქი | ვეძისი-N210 საჯარო სკოლა | 9:00 | 14.5 | 5 | 12 | | 19 | 2 | 10 | 1 | 38.00 |
| | | | | | | დიდგორი-თელოვანი-N210 საჯარო სკოლა | | | 12 | 31 | | 19 | 2 | 12 | 1 | 38.00 |
| 18 | თბილისი | ძველი თბილისი | N214 საჯარო სკოლა | 226526202 | ქალაქი | კოჯეთი-214 საჯარო სკოლა | 9:00 | 13:10<br>14:50 | 12<br>8 | 11 | | 19 | 3 | 20 | 1 | 57.00 |
| | | | | | | ქოროღლი -214 საჯარო სკოლა | | 13:10 | 20 | 8 | | 19 | 2 | 35 | 20 | 760.00 |
| | | | | | | ლტოლვილების დასახლება-214 საჯარო სკოლა | | 14:50 | 17 | 8 | | 19 | 2 | 35 | 20 | 760.00 |
| 19 | კახეთი | ახმეტა | №2 საჯარო სკოლა | 224628204 | ქალაქი | ჩაჩხრიალა-№2 საჯარო სკოლა | 9:30 | 15:20 | 4 | 3 | | 19 | 2 | 4 | 9 | 342.00 |
| | | | | | | ხორბალო-№2 საჯარო სკოლა | | | 4 | 8 | | 19 | 2 | 4 | 22 | 836.00 |
| | | | | | | საბერო- №2 საჯარო სკოლა | | | 9 | 2.4 | | 19 | 2 | 9 | 9 | 342.00 |
| 20 | კახეთი | ახმეტა | ხორხელის საჯარო სკოლა | 224628179 | სოფელი | პატარა ხორხელი-ჩაბინაანი-ხორხელის საჯარო სკოლა | 9:30 | 15:00 | 4 | 6.1 | საჭიროა მაღალი გამავლობის ტრანსპორტი | 19 | 2 | 4 | 21 | 798.00 |
| 21 | კახეთი | ახმეტა | ქვემო ალვანის საჯარო სკოლა | 224617449 | სოფელი | ლალისყური-ქვემო ალვანის საჯარო სკოლა | 9:30 | 14:30 | 18 | 7 | | 19 | 2 | 18 | 5 | 190.00 |
| | | | | | | ფიჩხოვანი-ქვემო ალვანის საჯარო სკოლა | | | 10 | 5 | | 19 | 2 | 10 | 5 | 190.00 |
| | | | | | | ალავერდი-ქვემო ალვანის საჯარო სკოლა | | | 7 | 3 | | 19 | 2 | 15 | 5 | 190.00 |
| | | | | | | ზაზანეური- ქვემო ალვანის საჯარო სკოლა | | | 9 | 4 | | 19 | 2 | 9 | 5 | 190.00 |
| 22 | კახეთი | ახმეტა | ოჟიოს საჯარო სკოლა | 224627946 | სოფელი | ხორბლის ,,იმერლიანთ უბნიდან"-ოჟიოს საჯარო სკოლა | 9:30 | 15:30 | 3 | 4 | | 19 | 2 | 5 | 22 | 836.00 |
| | | | | | | ალავერდი-კოლოთო-ოჟიოს საჯარო სკოლა | | | 29 | 6 | | 19 | 2 | 29 | 18 | 684.00 |
| 23 | კახეთი | ახმეტა | დუისის საჯარო სკოლა | 224628124 | მთა | წინუბნიდან –დუისის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:45 | 26 | 6 | | 19 | 2 | 26 | 23 | 874.00 |
| | | | | | | შუა ხალაწანი–ქვემო ხალაწანი–ყვარელწყალი–დუისის საჯარო სკოლა | | | 18 | 10 | | 19 | 2 | 18 | 18 | 684.00 |
| 24 | კახეთი | ახმეტა | საკობიანოს საჯარო სკოლა | 224628188 | მთა | ბაყილოვანი-საკობიანოს საჯარო სკოლა | 9:30 | 15:30 | 7 | 3.4 | | 19 | 2 | 7 | 7 | 266.00 |
| | | | | | | ყვარელწყალი-კუწახტა-საკობიანოს საჯარო სკოლა | | | 13 | 3 | | 19 | 2 | 13 | 21 | 798.00 |
| | | | | | | ქორეთი-საკობიანოს საჯარო სკოლა | | | 18 | 3 | | 19 | 2 | 18 | 21 | 798.00 |
| 25 | კახეთი | ახმეტა | ბირკიანის საჯარო სკოლა | 224628231 | მთა | ძიბახევიდან-ბირკიანის საჯარო სკოლა | 9:30 | 13:40<br>15:20 | 12<br>14 | 2 | | 19 | 3 | 26 | 9 | 513.00 |
| 26 | კახეთი | ახმეტა | ომალოს საჯარო სკოლა | 224628160 | მთა | შუა ხალაწანი-ქვემო ხალაწანი-დუმასტური-ომალოს საჯარო სკოლა | 9:30 | 15:20 | 10 | 7 | | 19 | 2 | 10 | 26 | 988.00 |
| 27 | კახეთი | ახმეტა | აწყურის საჯარო სკოლა | 224619474 | სოფელი | ახალდაბა- ჩარექაული–აწყურის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 3 | 7 | | 19 | 2 | 4 | 5 | 190.00 |
| | | | | | | არაშენდა-ხორხელი-ჩაბინაანი-აწყურის საჯარო სკოლა | | 14:15 | 24 | 8 | | 19 | 2 | 24 | 21 | 798.00 |
| | | | | | | ზემო ხოდაშენი-აწყურის საჯარო სკოლა | | 13:10<br>14:00 | 25<br>16 | 4 | | 19 | 3 | 41 | 13 | 741.00 |
| 28 | კახეთი | ახმეტა | დუმასტურის საჯარო სკოლა | 224628240 | მთა | ზემო ხალაწანი–შუა ხალაწანი–ქვემო ხალაწანი-დუმასტურის საჯარო სკოლა | 9:30 | 15:00 | 24 | 8 | | 19 | 2 | 24 | 26 | 988.00 |
| 29 | კახეთი | ახმეტა | მაღრაანის საჯარო სკოლა | 224628142 | სოფელი | არგოხი–მაღრაანის საჯარო სკოლა-არგოხი | 9:00 | 15:30 | 10 | 3 | | 19 | 2 | 10 | 20 | 760.00 |
| 30 | კახეთი | ახმეტა | ქისტაურის საჯარო სკოლა | 224619456 | სოფელი | ახშანი-ქისტაურის საჯარო სკოლა | 9:30 | 14:00 | 22 | 3 | | 19 | 2 | 22 | 20 | 760.00 |
| | | | | | | არაშენდა-ახშნის ველები-ქისტაურის საჯარო სკოლა | | 15:00 | 23 | 6 | | 19 | 2 | 23 | 20 | 760.00 |
| | | | | | | ოსიაური-ქისტაურის საჯარო სკოლა | | 15:30 | 12 | 4 | | 19 | 2 | 12 | 20 | 760.00 |
| 31 | კახეთი | ახმეტა | N3 საჯარო სკოლა | 224628071 | ქალაქი | საბერო-N3 საჯარო სკოლა | 9:30 | 15:20 | 3 | 2.5 | | 19 | 2 | 4 | 1 | 38.00 |
| 32 | კახეთი | გურჯაანი | ვაჩნაძიანის საჯარო სკოლა | 227753204 | სოფელი | კახიფარი - ვაჩნაძიანის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 7 | 7 | | 19 | 2 | 8 | 35 | 1,330.00 |
| 33 | კახეთი | გურჯაანი | ახაშნის საჯარო სკოლა | 227752250 | სოფელი | ზეგაანი - ახაშნის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 41 | 3 | | 19 | 2 | 41 | 26 | 988.00 |
| 34 | კახეთი | გურჯაანი | ჩუმლაყის საჯარო სკოლა | 227752161 | სოფელი | ყიტაანი - ჩუმლაყის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 27 | 4 | | 19 | 2 | 27 | 26 | 988.00 |
| 35 | კახეთი | გურჯაანი | მელაანის საჯარო სკოლა | 227730649 | სოფელი | სოფლის ბოლოდან - მელაანის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 44 | 4 | | 19 | 2 | 44 | 20 | 760.00 |
| 36 | კახეთი | გურჯაანი | არაშენდის საჯარო სკოლა | 227752544 | სოფელი | დარჩიეთი - არაშენდის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 38 | 1.5 | | 19 | 2 | 38 | 23 | 874.00 |
| 37 | კახეთი | გურჯაანი | ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლა | 227752642 | სოფელი | ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლა-კაჭრეთის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 66 | 3.8 | | 19 | 2 | 66 | 1 | 38.00 |
| | | | | | | | 14:05 | 18:15 | 35 | | | 19 | 2 | 35 | 1 | 38.00 |
| 38 | კახეთი | გურჯაანი | კაჭრეთის საჯარო სკოლა | 227730621 | სოფელი | ნანიანი - კაჭრეთის საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 7 | 6 | | 19 | 2 | 20 | 26 | 988.00 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 39 | კახეთი | გურჯაანი | ველისციხის საჯარო სკოლა | 227752768 | სოფელი | სოფლის ბოლოდან - ველისციხის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 60 | 3 | | 19 | 4 | 30 | 22 | 1,672.00 |
| 40 | კახეთი | გურჯაანი | კარდენახის საჯარო სკოლა | 227752777 | სოფელი | სოფლის ბოლოდან (სადგურის დასახლება) კარდენახის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 26 | 3 | | 19 | 2 | 26 | 5 | 190.00 |
| | | | | | | სოფლის ბოლოდან (წნორის მიმართულებით) კარდენახის საჯარო სკოლა | | | 28 | | | 19 | 2 | 28 | 5 | 190.00 |
| | | | | | | სოფლის ბოლოდან (ახოების დასახლება) კარდენახის საჯარო სკოლა | | | 23 | | | 19 | 2 | 23 | 5 | 190.00 |
| 41 | კახეთი | გურჯაანი | შაშიანის საჯარო სკოლა | 227752214 | სოფელი | სოფლის ბოლო უბნიდან - შაშიანის საჯარო სკოლა | 9:00 | 15 | 24 | 1.8 | 1 შშმ მოსწავლე | 19 | 2 | 24 | 5 | 190.00 |
| 42 | კახეთი | გურჯაანი | კალაურის საჯარო სკოლა | 227752759 | სოფელი | სოფლის ბოლო უბნიდან - კალაურის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 21 | 2.1 | | 19 | 2 | 21 | 20 | 760.00 |
| 43 | კახეთი | დედოფლისწყარო | მაჩხაანის საჯარო სკოლა | 228525584 | სოფელი | მირზაანი-ზემო მაჩხაანი-მირზაანი | 9:00 | 14:30 | 13 | 3.5 | | 19 | 2 | 13 | 26 | 988.00 |
| 44 | კახეთი | დედოფლისწყარო | ქვემო ქედის საჯარო სკოლა | 228540451 | სოფელი | სოფლის თავიდან– ქვემო ქედის საჯარო სკოლა | 9:00 | 13:30 | 40 | 4 | | 19 | 2 | 40 | 18 | 684.00 |
| | | | | | | სოფლის ბოლოდან – ქვემო ქედის საჯარო სკოლა | | 15:15 | 6 | 3 | | 19 | 2 | 15 | 22 | 836.00 |
| 45 | კახეთი | დედოფლისწყარო | № 2 საჯარო სკოლა | 228525441 | ქალაქი | ჰოეთი-№2 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:30 | 10 | 7 | | 19 | 2 | 10 | 18 | 684.00 |
| 46 | კახეთი | დედოფლისწყარო | ხორნაბუჯის საჯარო სკოლა | 228525236 | სოფელი | ჭავჭავაძის ქუჩა –ხორნაბუჯის საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 9 | 3 | | 19 | 2 | 9 | 15 | 570.00 |
| | | | | | | სამრეკლო-მეტალურგების დასახლება-ჰერეთის ქუჩა - ხორნაბუჯის საჯარო სკოლა | | | 12 | 3 | | 19 | 2 | 12 | 15 | 570.00 |
| | | | | | | ჰოეთი -მეგობრობის ქუჩა - ხორნაბუჯის საჯარო სკოლა | | | 13 | 4 | | 19 | 2 | 13 | 15 | 570.00 |
| | | | | | | ჩოლოყაშვილის ქუჩა - ხორნაბუჯის საჯარო სკოლა | | | 26 | 3 | | 19 | 2 | 26 | 15 | 570.00 |
| | | | | | | დუმბაძის ქუჩა-ბეჟანიშვილის ქუჩა-ხორნაბუჯის საჯარო სკოლა | | | 26 | 2 | | 19 | 2 | 26 | 15 | 570.00 |
| 47 | კახეთი | დედოფლისწყარო | არხილოსკალოს საჯარო სკოლა | 228537508 | სოფელი | არხილოსკალოს დასაწყისიდან-არხილოსკალოს საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 18 | 3 | | 19 | 2 | 18 | 16 | 608.00 |
| | | | | | | ქვემო ქედის დასაწყისიდან-არხილოსკალოს საჯარო სკოლა | | | 33 | 5 | | 19 | 2 | 33 | 16 | 608.00 |
| 48 | კახეთი | დედოფლისწყარო | სამრეკლოს საჯარო სკოლა | 228540460 | სოფელი | სოფლის ბოლოდან - სამრეკლოს საჯარო სკოლამდე | 9:00 | 14:30 | 17 | 2.5 | | 19 | 2 | 18 | 23 | 874.00 |
| 49 | კახეთი | თელავი | ართანის საჯარო სკოლა | 231263780 | სოფელი | ართანის საჯარო სკოლა-წმინდა გიორგის ფერდობი-ციხიანის უბანი-ართანის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:30 | 24 | 2.5 | | 19 | 2 | 24 | 22 | 836.00 |
| | | | | | | ართანის საჯარო სკოლა-სოფლის ცენტრი-დიდხევის უბანი-ერმიეის სახელობის ეკლესია - ართანის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:30 | 21 | 2.1 | | 19 | 2 | 21 | 22 | 836.00 |
| 50 | კახეთი | თელავი | ვანთის საჯარო სკოლა | 231264011 | სოფელი | ვანთის შემოსასვლელი-ვანთის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:20 | 38 | 2.5 | | 19 | 2 | 38 | 22 | 836.00 |
| 51 | კახეთი | თელავი | ვარდისუბნის საჯარო სკოლა | 231264823 | სოფელი | ყარაულაშვილების უბანი-ვარდისუბნის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 15 | 1.8 | | 19 | 2 | 15 | 25 | 950.00 |
| | | | | | | მერეს უბანი -ვარდისუბნის საჯარო სკოლა | | | 20 | 2 | | 19 | 2 | 20 | 25 | 950.00 |
| 52 | კახეთი | თელავი | თეთრიწყლების საჯარო სკოლა | 231263851 | მთა | სეროდანი-კობაძე-თეთრიწყლების საჯარო სკოლა | 9:00 | 15:10 | 6 | 8 | | 19 | 2 | 15 | 22 | 836.00 |
| 53 | კახეთი | თელავი | კისისხევის საჯარო სკოლა | 231263824 | სოფელი | სოფლის თავიდან-კისისხევის საჯარო სკოლა | 9:00 | 14.3 | 26 | 2 | | 19 | 2 | 26 | 22 | 836.00 |
| | | | | | | სოფლის ბოლოდან -კისისხევის საჯარო სკოლა | | | 24 | 2 | | 19 | 2 | 24 | 22 | 836.00 |
| 54 | კახეთი | თელავი | კონდოლის საჯარო სკოლა | 231263799 | სოფელი | რკინიგზის უბანი-კონდოლის საჯარო სკოლა | 9-00 | 14-30 | 60 | 2 | | 19 | 4 | 30 | 1 | 76.00 |
| | | | | | | სოფლის ბოლო-კონდოლის საჯარო სკოლა | | | 65 | 2.5 | | 19 | 4 | 33 | 1 | 76.00 |
| 55 | კახეთი | თელავი | კურდღელაურის საჯარო სკოლა | 231263664 | სოფელი | სოფლის ბოლოდან (ყიტაანის უბანი) - ოთარაანთ უბანი - კურდღელაურის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:25 | 80 | 2.5 | | 19 | 4 | 40 | 1 | 76.00 |
| 56 | კახეთი | თელავი | ფშაველის საჯარო სკოლა | 231263771 | სოფელი | ლეჩურის დაწყებითი სკოლის შენობა - ფშაველის თავი - ფშაველის საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 29 | 8 | | 19 | 2 | 29 | 21 | 798.00 |
| | | | | | | ლალისყურის ბოლოდან- ფშაველის საჯარო სკოლა | | | 27 | 4 | | 19 | 2 | 27 | 21 | 798.00 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 57 | კახეთი | თელავი | ქვემო ხოდაშნის საჯარო სკოლა | 231263708 | სოფელი | სოფლის ბოლოდან ცენტრალური მაგისტრალის გავლით - ქვ. ხოდაშნის საჯარო სკოლა | 9:00 | 13:30 | 25 | 2.5 | | 19 | 2 | 25 | 22 | 836.00 |
| | | | | | | სოფლის თავიდან - ქვ. ხოდაშნის საჯარო სკოლა | | 14:30 | 27 | 2 | | 19 | 2 | 27 | 22 | 836.00 |
| 58 | კახეთი | თელავი | ყარაჯალის საჯარო სკოლა | 231263487 | სოფელი | სოფლის ბოლოდან (საქართველოს ქუჩა) - ყარაჯალის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 25 | 2 | სწავლა ორცვლიანია | 19 | 2 | 25 | 6 | 228.00 |
| | | | | | | | 14:05 | 18:15 | 30 | | | 19 | 2 | 30 | 6 | 228.00 |
| | | | | | | სოფლის ბოლოდან - ყარაჯალის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 30 | 2 | | 19 | 2 | 30 | 6 | 228.00 |
| | | | | | | | 14:05 | 18:15 | 30 | | | 19 | 2 | 30 | 6 | 228.00 |
| | | | | | | სოფლის თავიდან - ყარაჯალის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 20 | 2 | | 19 | 2 | 20 | 1 | 38.00 |
| | | | | | | | 14:05 | 18:15 | 25 | | | 19 | 2 | 25 | 1 | 38.00 |
| 59 | კახეთი | თელავი | წინანდლის საჯარო სკოლა | 231263619 | სოფელი | სადგურის უბანი -წინანდლის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:30 | 45 | 2 | | 19 | 2 | 45 | 18 | 684.00 |
| | | | | | | ტოლნიანი-წინანდლის საჯარო სკოლა | | | 35 | 2 | | 19 | 2 | 35 | 18 | 684.00 |
| 60 | კახეთი | თელავი | აკურის საჯარო სკოლა | 231263842 | სოფელი | საბავშვო ბაღის უბანი-აკურის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 24 | 2 | | 19 | 2 | 24 | 21 | 798.00 |
| | | | | | | ტყის უბანი -აკურის საჯარო სკოლა | | | 25 | 2 | | 19 | 2 | 25 | 21 | 798.00 |
| 61 | კახეთი | თელავი | რუისპირის საჯარო სკოლა | 231188719 | სოფელი | ახატელი-რუისპირის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 38 | 2 | | 19 | 4 | 19 | 22 | 1,672.00 |
| | | | | | | არტოზანი-რუისპირის საჯარო სკოლა | | | 28 | 2 | | 19 | 2 | 28 | 26 | 988.00 |
| 62 | კახეთი | თელავი | ბუშეტის საჯარო სკოლა | 231263762 | სოფელი | ბუშეტის ბოლოდან -ბუშეტის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:20 | 19 | 2 | | 19 | 2 | 19 | 23 | 874.00 |
| 63 | კახეთი | ლაგოდეხი | №1 საჯარო სკოლა | 233137717 | ქალაქი | ვაშლოვანის ქუჩა-№1 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:10 | 28 | 2 | | 19 | 2 | 28 | 5 | 190.00 |
| | | | | | | თავისუფლების ქუჩა -№1 საჯარო სკოლა | | | 29 | 2 | | 19 | 2 | 29 | 5 | 190.00 |
| | | | | | | დ.აღმაშენებლის ქუჩა-№1 საჯარო სკოლა | | | 28 | 2 | | 19 | 2 | 28 | 5 | 190.00 |
| 64 | კახეთი | ლაგოდეხი | №3 საჯარო სკოლა | 233137860 | ქალაქი | ვაშლოვანის ქუჩა-დ.აღმაშენებლის ქ. - თავისუფლების ქ. - №3 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:10 | 50 | 2 | | 19 | 2 | 50 | 26 | 988.00 |
| 65 | კახეთი | ლაგოდეხი | აფენის №1 საჯარო სკოლა | 233115107 | სოფელი | ზემო ნაშოვარი - აფენის №1 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:10 | 32 | 2.5 | | 19 | 2 | 32 | 1 | 38.00 |
| | | | | | | ონანაური -ჭაბუკიანი- აფენის №1 საჯარო სკოლა | | | 34 | 2.5 | | 19 | 2 | 34 | 1 | 38.00 |
| | | | | | | გვიმრიანი-ბანკის წილი - აფენის №1 საჯარო სკოლა | | | 13 | 3 | | 19 | 2 | 13 | 1 | 38.00 |
| | | | | | | კაკლიანი-ბაღდადი-აფენის №1 საჯარო სკოლა | | | 38 | 2.5 | | 19 | 2 | 38 | 1 | 38.00 |
| 66 | კახეთი | ლაგოდეხი | ბაისუბნის საჯარო სკოლა | 233137361 | სოფელი | ზემო მსხალგორი-ქვემო მსხალგორი -ბაისუბნის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:55 | 24 | 3 | | 19 | 2 | 24 | 18 | 684.00 |
| 67 | კახეთი | ლაგოდეხი | განჯალის საჯარო სკოლა | 233137753 | სოფელი | უზუნთალა-განჯალას საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 70 | 3 | | 19 | 4 | 35 | 18 | 1,368.00 |
| 68 | კახეთი | ლაგოდეხი | გიორგეთის საჯარო სკოლა | 233137842 | სოფელი | გურკარეთი-ფიჩხიზოგირი - ლაფნიანი-გიორგეთის საჯრო სკოლა | 9:00 | 15:00 | 24 | 6 | | 19 | 2 | 24 | 1 | 38.00 |
| | | | | | | გიორგეთის დასაწყისი-გიორგეთის საჯრო სკოლა | | | 17 | 3 | | 19 | 2 | 17 | 1 | 38.00 |
| | | | | | | ვერხვისმინდორი-გიორგეთის საჯრო სკოლა | | | 17 | 2 | | 19 | 2 | 17 | 1 | 38.00 |
| 69 | კახეთი | ლაგოდეხი | ვარდისუბნის საჯარო სკოლა | 233137922 | სოფელი | საქობო - ბოლოკიანის გავლით-ვარდისუბნის საჯარო სკოლა | 9:30 | 14:35 | 18 | 6 | | 19 | 2 | 18 | 18 | 684.00 |
| | | | | | | მშვიდობიანი-ვარდისუბნის საჯარო სკოლა | | | 26 | 4 | | 19 | 2 | 26 | 22 | 836.00 |
| 70 | კახეთი | ლაგოდეხი | თამარიანის საჯარო სკოლა | 233137762 | სოფელი | სვიდება-თამარიანის საჯარო სკოლა | 9:30 | 14:30 | 40 | 2 | | 19 | 2 | 40 | 22 | 836.00 |
| 71 | კახეთი | ლაგოდეხი | თელის საჯარო სკოლს | 233115090 | სოფელი | თელის დასაწყისი- თელის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:45 | 18 | 2 | | 19 | 2 | 18 | 35 | 1,330.00 |
| 72 | კახეთი | ლაგოდეხი | კართუბნის საჯარო სკოლა | 233137389 | სოფელი | ზემო კართუბანი-კართუბნის საჯარო სკოლა | 9:30 | 14:50 | 49 | 2.5 | | 19 | 2 | 49 | 21 | 798.00 |
| | | | | | | ნაენდროვალი-კართუბნის საჯარო სკოლა | | | 16 | 7 | | 19 | 2 | 16 | 26 | 988.00 |
| | | | | | | ბოლოკიანი-კართუბნის საჯარო სკოლა | | | 34 | 2.5 | | 19 | 4 | 17 | 16 | 1,216.00 |
| | | | | | | ნაწისქვილარი-კართუბნის საჯარო სკოლა | | | 52 | 2.5 | | 19 | 4 | 26 | 7 | 532.00 |
| 73 | კახეთი | ლაგოდეხი | კაბლის №2 საჯარო სკოლა | 233137744 | სოფელი | კაბლის ბოლოდან -კაბლის №2 საჯარო სკოლა | 8:30 | 13:30 | 60 | 2.5 | სწავლა ორცვლიანია | 19 | 2 | 60 | 21 | 798.00 |
| | | | | | | | 13:30 | 18:00 | 50 | | | 19 | 2 | 50 | 21 | 798.00 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 74 | კახეთი | ლაგოდეხი | ლელიანის საჯარო სკოლა | 233137398 | სოფელი | შუაპლანი-ლელიანის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:10 | 28 | 3.5 | | 19 | 2 | 28 | 1 | 38.00 |
| | | | | | | ქალქვა-ნამესრალის გავლით-ლელიანის საჯარო სკოლა | | | 18 | 4 | | 19 | 2 | 18 | 1 | 38.00 |
| | | | | | | ზებურიანი - ლელიანის საჯარო სკოლა | | | 55 | 5 | | 19 | 2 | 55 | 6 | 228.00 |
| | | | | | | ბოლქვი -ლელიანის საჯარო სკოლა | | | 12 | 2.5 | | 19 | 2 | 12 | 6 | 228.00 |
| 75 | კახეთი | ლაგოდეხი | მსხალგორის საჯარო სკოლა | 233137780 | სოფელი | უზუნთალა-მსხალგორის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:15 | 33 | 3 | | 19 | 2 | 33 | 26 | 988.00 |
| 76 | კახეთი | ლაგოდეხი | ნინიგორის საჯარო სკოლა | 233137897 | სოფელი | ხიზაბავრა-ზემო და ქვემო გურგენიანი-ნინიგორის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:10 | 40 | 7 | | 19 | 2 | 40 | 26 | 988.00 |
| 77 | კახეთი | ლაგოდეხი | ფონას საჯარო სკოლა | 233138208 | სოფელი | ზემო ხეჩილი-ფონას საჯარო სკოლა | 9:30 | 14:15 | 14 | 7 | | 19 | 2 | 14 | 26 | 988.00 |
| 78 | კახეთი | ლაგოდეხი | ცოდნისკარის საჯარო სკოლა | 233137726 | სოფელი | ჩადუნიანის ბოლოდან-ცოდნისკარის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 38 | 2 | | 19 | 2 | 38 | 16 | 608.00 |
| | | | | | | შეერთებიდან -ცოდნისკარის საჯარო სკოლა | | | 30 | 2 | | 19 | 2 | 30 | 16 | 608.00 |
| 79 | კახეთი | ლაგოდეხი | აფენის №2 საჯარო სკოლა | 233137370 | სოფელი | დიდი ცხაკაია-სოფ.პატარა ცხაკაია-აფენის №2 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 30 | 2.3 | | 19 | 2 | 30 | 18 | 684.00 |
| | | | | | | ფოდანი-ჭაროები-აფენის №2 საჯარო სკოლა | | | 26 | 2.3 | | 19 | 2 | 26 | 18 | 684.00 |
| | | | | | | ბოკვიანი-აფენის №2 საჯარო სკოლა | | | 28 | 2 | | 19 | 2 | 28 | 13 | 494.00 |
| | | | | | | სტალინის ქ. - აფენის №2 საჯარო სკოლა | | | 30 | 2.5 | | 19 | 2 | 30 | 18 | 684.00 |
| 80 | კახეთი | ლაგოდეხი | ჰერეთისკარის საჯარო სკოლა | 233137815 | სოფელი | ჰერეთისკარის ბოლო დასახლებიდან-ჰერეთისკარის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 40 | 2 | | 19 | 2 | 40 | 18 | 684.00 |
| 81 | კახეთი | ლაგოდეხი | ყარაჯალას საჯარო სკოლა | 233137824 | სოფელი | სოფ.ყარაჯალას ბოლო დასახლებიდან-სოფ.ყარაჯალას საჯარო სკოლა | 9:00 | 14:10 | 16 | 2.7 | | 19 | 2 | 16 | 5 | 190.00 |
| 82 | კახეთი | ლაგოდეხი | კაბლის N1 საჯარო სკოლა | 233137904 | სოფელი | კაბლის ქვემო დასახლებიდან - კაბლის N1 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:45 | 17 | 2 | სწავლა მიმდინარეობს შაბათ დღეს | 23 | 2 | 17 | 20 | 920.00 |
| | | | | | | კაბლის ბენზინგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორია - კაბლის N1 საჯარო სკოლა | | | 25 | 2 | | 23 | 2 | 25 | 20 | 920.00 |
| 83 | კახეთი | საგარეჯო | N4 საჯარო სკოლა | 238108196 | ქალაქი | სადგურის დასახლება - N4 საჯარო სკოლა | 9:00 | 13:25 | 54 | 3 | | 19 | 2 | 54 | 15 | 570.00 |
| | | | | | | | | 14:20 | 40 | | | 19 | 2 | 40 | 15 | 570.00 |
| 84 | კახეთი | საგარეჯო | კაკაბეთის საჯარო სკოლა | 238146190 | სოფელი | ვერხვიანი–კუპატაძიაანთ უბანი –კაკაბეთის საჯარო სკოლა | 9:00 | 13:00 | 33 | 3 | | 19 | 2 | 33 | 21 | 798.00 |
| | | | | | | | | 15:00 | 32 | | | 19 | 2 | 32 | 21 | 798.00 |
| 85 | კახეთი | საგარეჯო | კოჭბანის საჯარო სკოლა | 238146369 | სოფელი | ომარაული - კოჭბანის საჯარო სკოლა | 9:30 | 14:30 | 1 | 7 | | 19 | 2 | 4 | 1 | 38.00 |
| | | | | | | ვაშლიანი - კოჭბანის საჯარო სკოლა | | 14:00 | 2 | 4.4 | | 19 | 2 | 4 | 20 | 760.00 |
| | | | | | | ოთარაანთკარი - სასადილო - კოჭბანის საჯარო სკოლა | | 14:00<br>15:20 | 3<br>3 | 4.5 | | 19 | 3 | 6 | 16 | 912.00 |
| | | | | | | გორანა - კოჭბანის საჯარო სკოლა | | 15:20 | 4 | 3 | | 19 | 2 | 4 | 13 | 494.00 |
| 86 | კახეთი | საგარეჯო | მანავის საჯარო სკოლა | 238146528 | სოფელი | ზემო მანავი-მანავის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 20 | 2 | | 19 | 2 | 20 | 9 | 342.00 |
| | | | | | | ტურის უბანი-მანავის საჯარო სკოლა | | | 26 | 2 | | 19 | 2 | 26 | 9 | 342.00 |
| | | | | | | ბურდიანი- მანავის საჯარო სკოლა | | | 25 | 2 | | 19 | 2 | 25 | 9 | 342.00 |
| 87 | კახეთი | საგარეჯო | ყანდაურის საჯარო სკოლა | 238146234 | მთა | ვერხვიანი-ყანდაურის საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 50 | 5 | | 19 | 2 | 50 | 22 | 836.00 |
| | | | | | | ზემო ყანდაურა-ყანდაურის საჯარო სკოლა | | 12:25 | 1 | 4 | საჭიროებს მაღალი გამავლობის ტრანსპორტს | 19 | 2 | 15 | 1 | 38.00 |
| 88 | კახეთი | საგარეჯო | ლამბალოს საჯარო სკოლა | 238121910 | სოფელი | კაზლარი - ლამბალოს საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 190 | 5 | | 19 | 10 | 40 | 1 | 190.00 |
| | | | | | | თულარი-ლამბალოს საჯარო სკოლა | | | 80 | 2.5 | | 19 | 4 | 40 | 1 | 76.00 |
| | | | | | | ზემო ლამბალოს უბანი–ლამბალოს საჯარო სკოლა | | | 100 | 2.8 | | 19 | 4 | 50 | 1 | 76.00 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 89 | კახეთი | საგარეჯო | ბადიაურის საჯარო სკოლა | 238146243 | სოფელი | თულარი( სოფლის ცენტრი) - ლამბალო ( სოფლის ცენტრი)- ქეშალო ( სოფლის ცენტრი)- მუღანლო (სოფლის ცენტრი) - ბადიაურის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 24 | 25 | | 19 | 2 | 24 | 20 | 760.00 |
| | | | | | | დუზაგრამა ( სოფლის ცენტრი )- ბადიაურის საჯარო სკოლა | | | 20 | 7.5 | | 19 | 2 | 20 | 5 | 190.00 |
| 90 | კახეთი | საგარეჯო | გომბორის საჯარო სკოლა | 238146207 | მთა | რუსიანი-ვერონა-გომბორის საჯარო სკოლა | 9:30 | 15:00 | 12 | 13 | | 19 | 2 | 12 | 35 | 1,330.00 |
| | | | | | | ოთარაანთკარი-ასკილაური-გომბორის საჯარო სკოლა | | | 7 | 7 | | 19 | 2 | 7 | 25 | 950.00 |
| 91 | კახეთი | საგარეჯო | დუზაგრამის საჯარო სკოლა | 238146298 | სოფელი | ქეშალო–მუღალნო–დუზაგრამის საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 24 | 5 | | 19 | 2 | 24 | 21 | 798.00 |
| | | | | | | | 14:00 | 18:15 | 21 | | | 19 | 2 | 21 | 21 | 798.00 |
| 92 | კახეთი | საგარეჯო | პატარძეულის საჯარო სკოლა | 238146332 | სოფელი | აჭარლების დასახლება-პატარძეულის საჯარო სკოლა | 9:00 | 13:10 | 22 | 3 | | 19 | 2 | 22 | 13 | 494.00 |
| | | | | | | | | 14:50 | 31 | | | 19 | 2 | 31 | 13 | 494.00 |
| 93 | კახეთი | საგარეჯო | წყაროსთავის საჯარო სკოლა | 238146225 | სოფელი | წყაროსთავის ქვემო უბანი-წყაროსთავის საჯარო სკოლა | 9:00 | 12:50<br>14:00 | 2<br>9 | 2 | | 19 | 3 | 11 | 18 | 1,026.00 |
| | | | | | | წყაროსთავის ქვემო უბანი-წყაროსთავის საჯარო სკოლა | 13:15 | 17:20 | 4 | | | 19 | 2 | 15 | 26 | 988.00 |
| 94 | კახეთი | საგარეჯო | იორმუღანლოს საჯარო სკოლა | 238121750 | სოფელი | მუღანლო – ქეშალო – იორმუღანლოს საჯარო სკოლა | 14:00 | 18:30 | 80 | 4 | | 19 | 2 | 40 | 1 | 38.00 |
| 95 | კახეთი | საგარეჯო | ხაშმის საჯარო სკოლა | 238146341 | სოფელი | სოფლის დასაწყისი - ხაშმის საჯარო სკოლა | 9:00 | 12:30 | 50 | 2 | | 19 | 2 | 50 | 9 | 342.00 |
| | | | | | | | | 13:30 | 50 | | | 19 | 2 | 50 | 1 | 38.00 |
| | | | | | | | | 14:30 | 53 | | | 19 | 2 | 53 | 1 | 38.00 |
| 96 | კახეთი | საგარეჯო | N3 საჯარო სკოლა | 238146181 | ქალაქი | გაღმაუბნის დასახლება – საგარეჯოს №3 საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00<br>15:25 | 18<br>14 | 3 | | 19 | 3 | 32 | 21 | 1,197.00 |
| 97 | კახეთი | საგარეჯო | გიორგიწმინდის საჯარო სკოლა | 238146289 | სოფელი | ანთოკი-გიორგიწმინდის საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 8 | 7 | მაღალი გამავლობის ტრანსპორტი | 19 | 2 | 8 | 20 | 760.00 |
| 98 | კახეთი | საგარეჯო | უჯარმის საჯარო სკოლა | 238146350 | სოფელი | წალმიანის დასახლება - მუხროვანი-უჯარმის საჯარო სკოლა | 9:00 | 12:00<br>14:30 | 1<br>2 | 6.8 | | 19 | 3 | 5 | 22 | 1,254.00 |
| 99 | კახეთი | სიღნაღი | ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის სიღნაღის საჯარო სკოლა | 240412380 | ქალაქი | გოძიაშვილის ქუჩა (ორმილის დასახლება) - სიღნაღის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:45 | 18 | 2 | | 19 | 2 | 18 | 5 | 190.00 |
| | | | | | | ეკა ბეჟანიშვილის ქუჩა - სიღნაღის საჯარო სკოლა | | | 12 | 2.5 | | 19 | 2 | 12 | 20 | 760.00 |
| 100 | კახეთი | სიღნაღი | ანაგის საჯარო სკოლა | 240412825 | სოფელი | ღვინობაანთ უბანი - ანაგის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:20 | 18 | 1.8 | ეტლით მოსარგებლე სსსმ 1 მოსწავლე | 19 | 2 | 18 | 26 | 988.00 |
| | | | | | | ბაიდარაანთ უბანი - ანაგის საჯარო სკოლა | | | 22 | 1.5 | სსსმ 1 მოსწავლე. გზა არის ცენტრალური მაგისტრალის განწერივ, განსაკუთრებით რთული მონაკვეთი. | 19 | 2 | 22 | 26 | 988.00 |
| 101 | კახეთი | სიღნაღი | ბოდბის საჯარო სკოლა | 240393016 | სოფელი | „ჯებირის უბანი" - ბოდბის საჯარო სკოლა | 9:00 | 13:30<br>15:30 | 14<br>12 | 2 | | 19 | 3 | 26 | 7 | 399.00 |
| | | | | | | გონთხევი - ბოდბის საჯარო სკოლა | | 13:30<br>15:30 | 15<br>16 | 2 | | 19 | 3 | 31 | 7 | 399.00 |
| | | | | | | თოღლაანის სასაფლაოს უბანი - ბოდბის საჯარო სკოლა | | 13:30<br>15:30 | 37<br>24 | 2.5 | | 19 | 4 | 37 | 5 | 380.00 |
| 102 | კახეთი | სიღნაღი | ბოდბისხევის საჯარო სკოლა | 240412807 | სოფელი | ზემო ბოდბისხევი - ბოდბისხევის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00<br>14:50 | 12<br>12 | 3.5 | | 19 | 3 | 25 | 7 | 399.00 |
| | | | | | | პანჩიაანთ უბანი - სომხების უბანი - ბოდბისხევის საჯარო სკოლა | | 14:00<br>14:50 | 20<br>27 | 5 | | 19 | 3 | 47 | 7 | 399.00 |
| 103 | კახეთი | სიღნაღი | ილო მოსაშვილის სახელობის ვაქირის საჯარო სკოლა | 240413192 | სოფელი | „ყანჩაანთ" უბანი-ვაქირის საჯარო სკოლა | 9:00 | 14:00 | 15 | 2 | | 19 | 2 | 15 | 16 | 608.00 |
| | | | | | | ანაგა-ვაქირის საზღვარი -ვაქირის საჯარო სკოლა | | | 17 | 2 | | 19 | 2 | 17 | 16 | 608.00 |
| 104 | კახეთი | სიღნაღი | ილიაწმინდას საჯარო სკოლა | 240393098 | სოფელი | ილიაწმინდაში შემოსასვლელი(ბოდბის მხრიდან)-ილიაწმინდას საჯარო სკოლა | 9:00 | 14:05<br>14:55 | 6<br>8 | 2.5 | | 19 | 3 | 15 | 16 | 912.00 |
| | | | | | | ილიაწმინდაში შემოსასვლელი(მაღაროს შემოსასვლელის მხრიდან) -" შავგიგლიანთ" უბანი -ილიაწმინდას საჯარო სკოლა | | 14:55 | 9 | 2.2 | | 19 | 2 | 10 | 16 | 608.00 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 105 | კახეთი | სიღნაღი | სოლომონ დოდაშვილის სახელობის მაღაროს საჯარო სკოლა | 240413183 | სოფელი | მაღაროს შემოსასვლელი (ფოხალო)- მაღაროს საჯარო სკოლა | 9:00 | 14:50 | 18 | 4 | | 19 | 2 | 18 | 20 | 760.00 |
| | | | | | | მაღაროს „ციხითვიანთ " უბანი-მაღაროს საჯარო სკოლა | | | 16 | 3.5 | გვყავს 2 სსსმ მოსწავლე, რომლებიც ეტლით გადაადგილდებიან. | 19 | 2 | 16 | 20 | 760.00 |
| | | | | | | ზოდბე-მაღაროს საზღვარი-უსენაანთ უბანი-მაღაროს საჯარო სკოლა | | | 18 | 4.5 | | 19 | 2 | 18 | 20 | 760.00 |
| 106 | კახეთი | სიღნაღი | ნუკრიანის N1 საჯარო სკოლა | 240412772 | სოფელი | ქვემო ნუკრიანის უბანი-ნუკრიანის N1 საჯარო სკოლა | 9:00 | 13:10<br>14:00 | 14<br>16 | 3 | | 19 | 3 | 30 | 6 | 342.00 |
| | | | | | | ზ. მაღარო -ნუკრიანის N1 საჯარო სკოლა | | 13:10<br>14:00 | 16<br>11 | 2 | | 19 | 3 | 30 | 6 | 342.00 |
| | | | | | | ჭოტორის უბანი-ნუკრიანის N1 საჯარო სკოლა | | 13:10<br>14:00 | 17<br>23 | 2 | | 19 | 3 | 40 | 6 | 342.00 |
| | | | | | | ზემო ნუკრიანის უბანი-ნუკრიანის N1 საჯარო სკოლა | | 13:10<br>14:00 | 9<br>7 | 2.5 | | 19 | 3 | 21 | 6 | 342.00 |
| 107 | კახეთი | სიღნაღი | ნუკრიანის N2საჯარო სკოლა | 240413156 | სოფელი | "ჭოტორი"-" ბასკოლიანთ" უბანი- ნუკრიანის N2 საჯარო სკოლა | 9:00 | 13:30<br>14:25 | 21<br>17 | 3 | | 19 | 3 | 40 | 21 | 1,197.00 |
| 108 | კახეთი | სიღნაღი | საქობოს საჯარო სკოლა | 240412852 | სოფელი | გოდაქანის უბანი-საქობოს საჯარო სკოლა | 9:00 | 15:00 | 12 | 2 | | 19 | 2 | 12 | 7 | 266.00 |
| | | | | | | ლიანდაგების ქვევითა უბანი-საქობოს საჯარო სკოლა | | | 15 | 2 | | 19 | 2 | 15 | 7 | 266.00 |
| | | | | | | კვენაკელის უბანი-საქობოს საჯარო სკოლა | | | 14 | 1.7 | | 19 | 2 | 14 | 7 | 266.00 |
| 109 | კახეთი | სიღნაღი | ხვიჩა ბიძინაშვილის სახელობის ტიბაანის საჯარო სკოლა | 240412816 | სოფელი | "მეურნეობის უბანი"- ტიბაანის საჯარო სკოლა | 9:00 | 15:20 | 19 | 2.7 | | 19 | 2 | 19 | 22 | 836.00 |
